საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2020 წლის 26 ივნისი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №76/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

--- --- 2018 წლის 07 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 08 მაისის №-- დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ კერძო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას, --- --- სასამართლოს --- --- მოსამართლემ --- --- არ განახორციელა თვითაცილება, რითიც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და 32-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, მოსამართლის აცილების საფუძველია სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მოსამართლის მიუკერძოებლობაში.

საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მოსამართლე --- --- --- **---** (შემდგომში „---“) 2014 წლის 30 აგვისტოდან 2019 წლის 30 აგვისტომდე უკავია აკადემიური პოზიცია - --- ---.

საჩივრის ავტორი თვლის, რომ მოსამართლის მხრიდან ადგილი ჰქონდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენას, ვინაიდან მოსამართლემ განიხილა ზემოაღნიშნული --- დაწესებულების კერძო საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება, სადაც გამოიკვეთა მისი ინტერესი დადებითი გადაწყვეტილების მიმართ. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლის როგორც ამ დაწესებულების --- - აკადემიური თანამდებობის მქონე პირის მიერ მიღებული სუბიექტური გადაწყვეტილება --- --- სასარგებლოდ, ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის მიუკერძოებლობას და ხაზს უსვამს მის მოვალეობებთან ინტერესთა შეუთავსებლობის არსებობას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

უნივერსიტეტმა 2017 წლის 13 მარტს სარჩელით მიმართა --- --- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების - --- --- მიმართ და მოითხოვა --- --- საბჭოს --- --- №01 გადაწყვეტილებისა და №1 სხდომის ოქმის ბათილად ცნობა.

--- --- საბჭოს --- --- სხდომაზე განხილული იქნა --- საჩივრის საფუძველზე ჩატარებული მონიტორინგის ჯგუფის შედეგები (დასკვნა). --- --- საბჭოს №01 გადაწყვეტილებით და ამ გადაწყვეტილების განუყოფელი ნაწილის - №1 სხდომის ოქმის თანახმად, შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება --- --- გაუქმების თაობაზე. ამავე გადაწყვეტილებით, დაწესებულებას დაევალა განაახლოს და მოქმედ სამართლებრივ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოიყვანოს „--- ---“, აგრეთვე, აღუდგეს --- --- და დროულად მიეცეს მსვლელობა --- --- საკითხს.

--- --- ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღსასრულებლად განესაზღვრა ორ თვიანი ვადა, რომლის ათვლაც დაიწყებოდა გადაწყვეტილებისა და ოქმის --- ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

--- --- 2017 წლის 31 მარტს სასამართლოში წარადგინა შუამდგომლობა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე.

--- --- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 03 აპრილის განჩინებით, მოსარჩელის შუამდგომლობა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელის მიერ 2017 წლის 03 აპრილის განჩინება გასაჩივრდა --- --- სასამართლოში. --- --- 2017 წლის 29 მაისის განჩინებით, --- --- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა. --- --- სასამართლოს --- --- 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით, --- --- სარჩელი არ დაკმაყოფილდა. --- სასამართლოს --- --- 2018 წლის 12 აპრილის განჩინებით, --- --- საჩივარი 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებაზე მიღებულ იქნა განსახილველად.

--- --- სასამართლოს 2017 წლის 29 მაისის განჩინებით --- --- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა --- --- სასამართლოს 2017 წლის 3 აპრილის განჩინება; შეჩერდა --- --- საბჭოს --- --- სხდომის ოქმი №1 და ამავე დღეს მიღებული გადაწყვეტილება №01-ის მოქმედება --- ნაწილში სასამართლოში წინამდებარე საქმის განხილვის დასრულებამდე.

საჩივარზე თანდართულია --- --- წერილი, რომლითაც --- --- მოთხოვნილი იქნა ინფორმაცია --- --- აკადემიური თანამდებობის შესახებ. --- --- წერილის მიხედვით, --- --- (პ/ნ ---) ფიქსირდება --- --- აკადემიურ თანამდებობაზე --- ---დან --- ---მდე, ხოლო --- --- „ასისტენტ-პროფესორის“ თანამდებობაზე - --- ---დან --- ---მდე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

--- --- 2018 წლის 07 მარტის №76 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე --- --- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით (სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი“.

უნდა აღნიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლი ადგენს დისციპლინური გადაცდომის არსებობისათვის სავალდებულო სხვა კუმულატიურ აბსტრაქტულ წინაპირობებს და მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ზოგად გარემოებებს. ამდენად, მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დასადასტურებლად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტებში ჩამოყალიბებული წინაპირობების მიღმა, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სხვა სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებები.

განსახილველ საქმესთან მიმართებაში მნიშვნელოვან განმარტებებს იძლევა „მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების, კერძოდ, ეთიკის ნორმების, თანამდებობასთან შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის შესახებ“ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნა, კერძოდ:

- (20) - მიუკერძოებლობა ევროპის სასამართლოს მიერ განმარტებულია, როგორც სუბიექტური მიდგომის გათვალისწინებით, რომელშიც მხედველობაში მიიღება ცალკეული მოსამართლის პირადი შეხედულებები და ინტერესები კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, ისე ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მოსამართლემ წარმოადგინა გარანტიები საკმარისი იმისთვის, რომ გამორიცხულიყო რაიმე სახის კანონიერი ეჭვი მის მიუკერძოებლობაში.
- (27) - მოსამართლეები არ უნდა იყვნენ იზოლირებულნი საზოგადოებისაგან, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, რადგან სასამართლო სისტემა სათანადო დონეზე მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებს, თუ მოსამართლეებს რეალურ ცხოვრებასთან კავშირი აქვთ. უფრო მეტიც, მოსამართლეები, როგორც მოქალაქეები, სარგებლობენ ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებებით, რომლებიც, პირველ რიგში, დაცულია ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციით (გამოხატვის თავისუფლება, რელიგიური თავისუფლება და სხვა). აქედან გამომდინარე, მოსამართლეებს ზოგადად უნდა ჰქონდეთ თავისუფლება განახორციელონ არასამოსამართლო საქმიანობა თავიანთი არჩევანისამებრ.
- (28) - თუმცა, ასეთმა საქმიანობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მათ მიუკერძოებლობას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, მათ დამოუკიდებლობასაც კი. ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია შენარჩუნებულ იქნეს წონასწორობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის დასაშვებ დონესა და თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებისას დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებას შორის საზოგადოების თვალშიც.[1]

მიკერძოების არსებობის შესახებ ვარაუდი დასაბუთებული უნდა იყოს, ის უნდა მოდიოდეს საღად მოაზროვნე და მცოდნე ადამიანებისაგან, რომლებიც ყურადღებით შეისწავლიან საკითხს და მის შესახებ აუცილებელ ინფორმაციას მიიღებენ.[2]

მოსამართლეების ხშირმა დისკვალიფიკაციამ შეიძლება, ზოგადად მოსამართლეებისა და კონკრეტულად ამ მოსამართლისადმი არაკეთილგანწყობა გამოიწვიოს და, ამის გარდა, დამატებითი

[1] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2002 წლის №3 დასკვნა, §27-28, გვ.7

[2] „მოსამართლის ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და კომენტარები, თბ. 2015, გვ. 107 http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf (ნანახია 29.06.2020)

ტვირთი დააწვეს მის კოლეგებს. მოდავე მხარეებმა შეიძლება ჩათვალონ, რომ თავად შეუძლიათ აირჩიონ, რომელი მოსამართლე განიხილავს მათ საქმეს, რაც დაუშვებელია. ამიტომ მოსამართლემ ისე უნდა წარმართოს პირადი და საქმიანი ურთიერთობები, რომ მინიმუმამდე შეამციროს მათი სამოსამართლო მოვალეობებთან კოლიზიის შესაძლებლობა.[3]

მოსამართლის აცილებაზე საუბრის დროს საყურადღებოა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, აცილების საფუძვლების არსებობისას მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

დადგენილია, რომ --- --- სასამართლოს 2017 წლის 29 მაისის განჩინებით --- --- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა --- --- სასამართლოს 2017 წლის 3 აპრილის განჩინება; შეჩერდა --- --- სხდომის ოქმი №1 და ამავე დღეს მიღებული გადაწყვეტილება №01-ის მოქმედება --- --- ნაწილში სასამართლოში წინამდებარე საქმის განხილვის დასრულებამდე.

საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ მოსამართლე --- --- უკავია პროფესორის აკადემიური თანამდებობა „--- --- --- ---“ --- ---დან --- ---მდე. რა პერიოდშიც მის მიერ განხილული იქნა აღნიშნული --- --- კერძო საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ მიუკერძოებლობა მოიცავს წინასწარგანწყობის ან ტენდენციურობის არარსებობას. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მისი არსებობა მოწმდება სუბიექტური და ობიექტური ტესტის გამოყენებით. სუბიექტური ტესტით შეფასებისას ხდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მრწამსისა და ქცევის გათვალისწინება, ანუ მოსამართლემ გამოხატა თუ არა კონკრეტულ საქმეში პერსონალური წინასწარგანწყობა ან ტენდენციურობა. ობიექტურობის ტესტით უნდა დადგინდეს, თუ რამდენად აქვს ადგილი დადასტურებად ფაქტებს მოსამართლის ქცევისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც ეჭვს ბადებს ამ უკანასკნელის მიუკერძოებლობაში.

მოსამართლეები არ უნდა იყვნენ იზოლირებულნი საზოგადოებისაგან. მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა გაუზიარონ თავისი ცოდნა და გამოცდილება მომავალ იურისტებს. შესაბამისად, ის მოცემულობა, რომ მოსამართლე განიხილავს იმ უნივერსიტეტის კერძო საჩივარს, სადაც მას უკავია ანაზღაურებადი თანამდებობა, არ ქმნის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანისათვის, რადგან მხარეს მოსამართლის აცილების შუამდგომლობით არ მიუმართავს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ თავად მოსამართლეს თვითაცილების განხორციელების ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ სუბიექტური ტესტის გათვალისწინებით მას წინასწარ ექნებოდა შექმნილი აზრი კონკრეტულ დავასთან მიმართებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც სახეზეა აცილების აშკარა საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში ვინაიდან მხარეს აცილების შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავს, ხოლო მოსამართლეს თვითაცილების განხორციელებისათვის აშკარა საფუძვლები არ გააჩნდა, მოცემულ დისციპლინურ საქმეში გადაცდომის ჩადენის ნიშნები არ იკვეთება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ,

[3] „მოსამართლის ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და კომენტარები, თბ. 2015, გვ. 99 http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf (ნანახია 29.06.2020)

თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 12 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე --- --- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №76/18 მოსამართლე --- --- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი